წარმოსადგენი დოკუმენტები

- პოტენციური ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (სამეწარმეო სტატუსის შემთხვევაში);
- იურიდიული პირის დამფუძნებლ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (55% თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში);
- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს ფიზიკური პირის/საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური პირის, ხოლო იურიდიული პირის დამფუძნებლ(ებ)ის არანაკლებ 50%-ის შესაბამისი წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრობას (60% თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში);
- შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წევრ(ებ)ის საკუთრებაში არსებული ან/და იჯარით მიღებული მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი, წყალუზრუნველყოფილია მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის მიერ დაფინანსებული „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში რეაბილიტირებული სარწყავი სისტემით (60% თანადაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში);
- ამონაწერ(ებ)ი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესახებ, რომელიც არის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრირებული ან/და მას მიღებული აქვს სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში), რომელსაც არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა); იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთს ჰყავს თანამესაკუთრე, დამატებით წარმოსადგენია თანამესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, ბენეფიციარის მიერ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.
- ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);
- შესასყიდ ძირითად საშუალებებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ (გარდა

მომსახურებისა) პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე/იმპორტის შემთხვევაში, ასევე ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი.

- სასოფლო-სამეურნეო მისაბმელ(ებ)ის / სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინასების მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოის(ებ)ი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე/იმპორტის შემთხვევაში, ასევე ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
    - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასახელება;
    - მახასიათებლები (მოდელი, ცხ.ძ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - გამოშვების წელი (წარმოებული განაცხადის წარდგენამდე არაუმეტეს 2 კალენდარული წლით ადრე);
    - ექსპლუატაციაში არ ყოფნის შესახებ სტატუსი;
    - მწარმოებელი ქვეყანა;
    - მწარმოებელი კომპანია;
    - დანიშნულება
    - მხარეთა რეკვიზიტები;
    - მიწოდების ვადა;
    - გადახდის პირობები;

შენიშვნა: ტექნიკის ადგილობრივი მომწოდებლის შემთხვევაში გადახდის პირობა აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, რომ სააგენტოს თანადაფინანსების თანხის გადახდა მოხდება ტექნიკის მიწოდების შემდეგ.

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგარანტიო დოკუმენტი (საგარანტიო პირობები უნდა ვრცელდებოდეს განაცხადის წარმოდგენიდან არანაკლებ 6 თვის ვადით) გაცემული მწარმოებლის ან/და მიმწოდებლის მიერ (სასოფლო-სამეურნეო მისაბმელ(ებ)ის ან/და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების მიზნობრიობით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში);

  შენიშვნა: საგარანტიო დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო, იმ შეთხვევაში, თუ აღნიშნულ ინფორმაციას მოიცავს ინვოისი ან/და ხელშეკრულება.
- უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს გამწევი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პოტენციური ბენეფიციარის საკუთრებად რეგისტრაციის/ლიზინგის უფლებით ფლობის ფაქტს, რაც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ცხენის ძალის შესახებ (სასოფლო-სამეურნეო მისაბმელ(ებ)ის თანადაფინანსების მიზნობრიობით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში);

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის აუდიტორული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ (სასათბურე მეურნეობის მოწყობის თანადაფინანსებისა და ერთწლოვანი ან/და მრავალწლოვანი კულტურების პირველადი წარმოებისთვის აგრომეტეოროლოგიური სადგურ(ებ)ის მოწყობის თანადაფინანსების მიზნობრიობ(ებ)ით განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში);
- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება საფინანსო ინსტიტუტიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და სესხის დამტკიცების თაობაზე ან/და უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რაც ადასტურებს პოტენციური ბენეფიციარის მიერ სხვა წყაროდან მიღებულ დაფინანსებას;
- საბანკო რეკვიზიტები;
- სხვა დამატებითი დოკუმენტები, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.